ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**18-01182563476**
თარიღი: **13/09/2018**

ადრესატი:

ნინო ქობულაძე
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-I-II კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 07 სექტემბრის #60-0118250657 წერილი (AR1611370) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე რამინ ობოლაძის მომართვის საფუძველზე, ქ. თბილისი, ისააკიანის ქუჩაზე (ს.კ #01.12.05.001.008) არსებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების რაოდენობა (12 ძირი კვიპაროსი) და ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად გასაშენებელი მცენარეები (161,5 კვ. მეტრი გაზონი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (109 კვ.მ).

თუმცა იმისათვის, რომ სამსახურმა შეითანხმოს წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი, განმცხადებელმა უნდა გამოასწოროს შემდეგი ხარვეზები: საინფორმაციო დაფის ესკიზზე არ არის სრულად წარმოდგენილი შემდეგი ინფორმაცია: გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის შეთანხმების თარიღი (მშენებლობის ნებართვის აღებამდე, განმცხადებელს აღნიშნული გრაფის შევსება არ მოეთხოვება), საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი არ არის ვიზუალურად გამოისახული მაკეტის ან ფოტომონტაჟის სახით, ასევე არ არის წარმოდგენილი დაგეგმილი გამწვანების ვიზუალიზაცია.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)